



იუსტიციის
სამინისტრო

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) 2024 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილება [Maximilian Schrems v Meta Platforms Ireland Ltd, formerly Facebook Ireland Ltd, C-446/21, ECLI:EU:C:2024:834](#)

მნიშვნელოვანი ამონარიდი გადაწყვეტილებიდან:

„71 [...] მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) მე-9(1) მუხლი ადგენს პრინციპს, რომ მასში ჩამოთვლილი განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავება აკრძალულია. ეს მოიცავს, მათ შორის, მონაცემებს, რომლებიც ამჟღავნებს ფიზიკური პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებას, პოლიტიკურ შეხედულებებს, რელიგიურ მრწამსს, ჯანმრთელობას, სქესობრივ ცხოვრებას ან სექსუალურ ორიენტაციას.

72 მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) მე-9(1) მუხლის გამოყენების მიზნებისთვის, მნიშვნელოვანია განისაზღვროს, როდესაც პერსონალური მონაცემები მუშავდება ონლაინ სოციალური ქსელის ოპერატორის მიერ, ეს მონაცემები ქმნის თუ არა აღნიშნულ დებულებაში მოცემულ ერთ-ერთ კატეგორიაში შემავალი ინფორმაციის გამჟღავნების შესაძლებლობას, მიუხედავად იმისა, ეს ინფორმაცია ეხება ამ ქსელის მომხმარებელს, თუ სხვა ნებისმიერ ფიზიკურ პირს. ასეთის არსებობის შემთხვევაში, პერსონალური მონაცემების ასეთი დამუშავება აკრძალულია და ექვემდებარება მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) მე-9(2) მუხლში მოცემულ გამონაკლისებს.

73 [...] მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის მე-9(1) მუხლში განსაზღვრული ფუნდამენტური აკრძალვა მოქმედებს, მიუხედავად იმისა, აღნიშნული დამუშავების ოპერაციის დროს გამჟღავნებული ინფორმაცია არის თუ არა სწორი და დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი მოქმედებს თუ არა აღნიშნულ დებულებაში მოცემული ერთ-ერთ განსაკუთრებულ კატეგორიას მიკუთვნებული ინფორმაციის მოპოვების მიზნით. მონაცემთა სუბიექტის ფუნდამენტური თავისუფლებებისა და ძირითადი უფლებებისათვის მნიშვნელოვანი რისკის გათვალისწინებით, რომელიც მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის მე-9(1) მუხლში მითითებული კატეგორიების პერსონალური მონაცემების ნებისმიერი სახით დამუშავებიდან გამომდინარეობს, აღნიშნული დებულება მიზნად ისახავს ამგვარი დამუშავების აკრძალვას, მიუხედავად მისი გაცხადებული მიზნისა (2023 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება, [Meta Platforms and Others \(სოციალური ქსელის გამოყენების ზოგადი პირობები\), C-252/21, EU:C:2023:537](#), 69 და 70-ე პუნქტები).

74 მიუხედავად იმისა, რომ მე-9(1) მუხლი, პრინციპში, კრძალავს, მათ შორის, სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავებას, მე-9(2) მუხლი ითვალისწინებს (a) ქვეპუნქტიდან (j) ქვეპუნქტამდე, 10 გამონაკლისს, რომლებიც ერთმანეთისგან დამოუკიდებელია და რომლებიც, შესაბამისად, დამოუკიდებლად უნდა შეფასდეს. აქედან გამომდინარე, ფაქტს, რომ მე-9(2) მუხლში გათვალისწინებული ერთ-ერთი გამონაკლისის გამოყენების პირობები სახეზე არ არის, არ შეუძლია ხელი შეუშალოს დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს დაეყრდნოს აღნიშნულ დებულებაში მოცემულ სხვა გამონაკლისს (2023 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება, [Krankenversicherung Nordrhein, C-667/21, EU:C:2023:1022](#), 47-ე პუნქტი).

75 რაც შეეხება, კერძოდ, მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) მე-9(2)(e) მუხლში მოცემულ გამონაკლისს, უნდა აღინიშნოს, რომ ამ დებულების საფუძველზე, მე-9(1) მუხლში განსაზღვრული განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავების აკრძალვა არ გამოიყენება იმ დროს, როდესაც აღნიშნული დამუშავება უკავშირდება პერსონალურ მონაცემებს, რომლებიც 'მონაცემთა სუბიექტმა გახადა აშკარად საჯარო'.

76 რამდენადაც ის უზრუნველყოფს გამონაკლისის პრინციპიდან, რომ განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავება აკრძალულია, **მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) მე-9(2) მუხლი უნდა განიმარტოს ვიწროდ** (ამ მიზნით, იხ., 2023 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილება [Meta Platforms and Others](#) (სოციალური ქსელის გამოყენების ზოგადი პირობები), C-252/21, EU:C:2023:537, 76-ე პუნქტი [...]).

77 აქედან გამომდინარე, მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) მე-9(2)(e) მუხლში დადგენილი გამონაკლისის გამოყენების მიზნებისთვის, მნიშვნელოვანია დადგინდეს, უნდოდა თუ არა მონაცემთა სუბიექტს, **ცალსახა და გასაგები მარწმუნებელი მოქმედებით**, გაეხადა შესაბამისი პერსონალური მონაცემები საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი (2023 წლის გადაწყვეტილება, [Meta Platforms and Others](#) (სოციალური ქსელი გამოყენების ზოგადი პირობები), C-252/21, EU:C:2023:537, 77-ე პუნქტი).

[...]

„80 [...] თუ მონაცემთა სუბიექტის მიერ თავისი სექსუალური ორიენტაციის შესახებ მონაცემების აშკარად გასაჯაროების შედეგია ის, რომ ეს მონაცემები შეიძლება დამუშავდეს, [...], **მხოლოდ ეს ფაქტი [...]** არ იძლევა მონაცემთა სუბიექტის სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული სხვა პერსონალური მონაცემების დამუშავების უფლებამოსილებას.

81 ამგვარად, მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) მე-9(2)(e) მუხლის ვიწროდ განმარტების საწინააღმდეგო იქნება თუ დადგინდება, რომ პირის სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული ყველა მონაცემი ექცევა მე-9(1) მუხლით განსაზღვრული აკრძალვის ფარგლებს მიღმა მხოლოდ იმ ფაქტის გამო, რომ მონაცემთა სუბიექტმა აშკარად საჯარო გახადა თავისი სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები.

82 მეტიც, ის ფაქტი, რომ პირმა აშკარად საჯარო გახადა სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია, არ გულისხმობს, რომ მან გასცა თანხმობა, მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) მე-9(2)(a) მუხლის მნიშვნელობით, ონლაინ სოციალური ქსელის პლატფორმის ოპერატორის მიერ მის სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული სხვა მონაცემების დამუშავებაზე.

83 აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, [...] **მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის მე-9(2)(e) მუხლი უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ ფაქტი, რომ პირმა საჯარო პანელური დისკუსიის¹ დროს გააკეთა თავისი სექსუალური ორიენტაციის შესახებ განაცხადი, არ აძლევს ონლაინ სოციალური ქსელის პლატფორმის ოპერატორს უფლებას დაამუშაოს სხვა მონაცემები, რომლებიც უკავშირდება ამ პირის სექსუალურ ორიენტაციას და რომლებიც შესაძლოა მოპოვებულია აღნიშნული პლატფორმის გარეთ სხვა ვებგვერდებისა და აპლიკაციების საშუალებით ამ მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის მიზნით, იმისთვის, რომ ამ პირს შესთავაზოს პერსონალიზებული რეკლამირების მომსახურება.**

მოკლე მიმოხილვა:

მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) მე-9(1) მუხლის მიხედვით აკრძალულია განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემთა დამუშავება.

ამავე რეგულაციის მე-9(2) მუხლში კი ჩამოთვლილია მე-9(1) მუხლში მოცემული აკრძალვიდან გამონაკლისები. მე-9(2)(e) მუხლის მიხედვით აკრძალვა არ მოქმედებს თუ დამუშავება დაკავშირებულია პერსონალურ მონაცემებთან, რომლებიც მონაცემთა სუბიექტმა გახადა აშკარად საჯარო.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) დაადგინა, რომ იმ შემთხვევაში, თუ პირმა საჯარო პანელური დისკუსიის დროს გააკეთა თავისი სექსუალური ორიენტაციის შესახებ განაცხადი, არ აძლევს ონლაინ სოციალური ქსელის პლატფორმის ოპერატორს უფლებას დაამუშაოს ამ პირის სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული სხვა მონაცემები, რომლებიც შესაძლოა მოპოვებულია აღნიშნული პლატფორმის გარეთ სხვა ვებგვერდებისა თუ აპლიკაციების საშუალებით.

¹ საჯარო პანელური დისკუსია გაიმართა ვენაში 2019 წლის 12 თებერვალს, რომლის დროსაც Mr Schrems-მა (ევროკავშირის წევრი ქვეყნის ეროვნულ სასამართლოში მიმდინარე საქმის წარმოების მხარე) გააკეთა განაცხადი თავისი სექსუალური ორიენტაციის შესახებ, Facebook-ის მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების გაკრიტიკების კონტექსტში.

ეროვნული კანონმდებლობის ნორმის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების საფუძველი	საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების დანართი I
ევროკავშირის სამართლებრივი აქტი, რომელთანაც მოხდა ეროვნული ნორმის დაახლოება	ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგულაცია (EU) 2016/679 „პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოქცევის შესახებ, რომელიც აუქმებს დირექტივას 95/46/EC (მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია (GDPR))“
ევროკავშირის დებულება	რეგულაციის 2016/679 მე-9 (2)(e) მუხლი
ეროვნული ნორმა, რომლის დაახლოება ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან უკვე მოხდა	„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის (ი) ქვეპუნქტი <i>(სარეგისტრაციო კოდი 010100000.05.001.020936; 13/05/2025 კონსოლიდირებული ვერსია)</i>
საკვანძო ტერმინი	მონაცემები, რომლებიც მონაცემთა სუბიექტმა გახადა აშკარად საჯარო
CJEU-ს პრეცედენტული სამართალი	2024 წლის 4 ოქტომბრის სასამართლოს გადაწყვეტილება, Maximilian Schrems v Meta Platforms Ireland Ltd, formerly Facebook Ireland Ltd, C.446/21, ECLI:EU:C:2024:834

ინფორმაცია დამუშავებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტის მიერ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზის საფუძველზე.

ანალიზი განკუთვნილია მხოლოდ საინფორმაციო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის და არ ასახავს რომელიმე ორგანიზაციის, დაწესებულების ან სუბიექტის შეხედულებებს. ანალიზის სიზუსტე, სისრულე და გამოყენებადობა უნდა გადამოწმდეს შესაბამის იურიდიულ პროფესიონალებთან და არ უნდა ჩაითვალოს იურიდიულ რჩევად.